თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი

ბრძანება

12 მარტი 2020 წ. თბილისი № 44/01

სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში საქმიანობის განსაკუთრებულ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის N 529 განკარგულების და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის საფუძველზე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით

ვბრძანებ:

1. სამსახურში არ გამოცხადდეს თსსუ-ის თანამშრომელი იმ შემთხვევაში, თუ:

   ა. ამ ბრძანების ძალაში შესვლამდე 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში იმყოფებოდა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ იდენტიფიცირებულ ახალი კორონავირუსის მაღალი გავრცელების ქვეყანაში (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, სამხრეთ კორეა, იტალიის რესპუბლიკა, ირანის ისლამური რესპუბლიკა, ავსტრიის რესპუბლიკა, საფრანგეთის რესპუბლიკა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ესპანეთის სამეფო) ან მოემგზავრება ასეთი ქვეყნების გავლით - საქართველოში დაბრუნებიდან 2 (ორი) კვირის განმავლობაში;
   ბ. ამ ბრძანების ძალაში შესვლის დროისათვის ან შემდეგ იმყოფება „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრულ ქვეყანაში და დაბრუნდება საქართველოში - საქართველოში დაბრუნებიდან 2 (ორი) კვირის განმავლობაში;
   გ. კონტაქტი ჰქონდა როგორც პირადად, ასევე ოჯახის წევრის მეშვეობით იმ პირთან, რომელიც იმყოფება თვითიზოლაციაში ან კარანტინში ან დაუდასტურდა ახალი კორონავირუსი (გარდა პროფესიული ურთიერთობებისა);
   დ. პირს აღენიშნება მწვავე რესპირაციული დაავადების სიმპტომები (ასეთი პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ მიმართოს ექიმს); არის ქრონიკული დაავადების ან სხვა რისკ-ფაქტორის მქონე.
2. პირველი პუნქტით განსაზღვრულმა პირებმა ორკვირიანი პერიოდი უნდა გაატარონ თვითიზოლაციის წესების დაცვით და შესაძლებლობის შემთხვევაში სამუშაო

შეასრულონ დისტანციურად, უშუალო ხელმძღვანელის მიერ გაცემული დავალებების შესაბამისად.

3. სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებმა, რექტორის აპარატის უფროსთან, ირინა კაპეტივაძესთან, დაუყონებლივ წარმოადგინონ იმ თანამშრომელთა სია, რომელთა საქმიანობაც განსაკუთრებულად არ საჭიროებს სამუშაო ადგილზე ყოფნას და დისტანციურად შეასრულებენ სამუშაოს. დისტანციურ სამუშაო რეჟიმში გადასული თანამშრომელი, მოთხოვნისთანავე, დაუყონებლივ (არაუგვიანეს ერთი საათისა) უნდა გამოცხადდეს სამსახურში.

4. დაევალოს თსსუ-ის ინფრასტრუქტურის სამსახურს ისეთი პირობების შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ჯანმრთელობის დაცვის პროტოკოლების, რეკომენდაციებისა და ჰიგიენის წესების დაცვას.

5. შეიზღუდოს სამსახურებრივი მივლინებები და სტუდენტთა/რეზიდენტთა სტაჟირებები, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა.

6. შეიზღუდოს თსსუ-ის მიერ საჯარო ღონისძიების ორგანიზება გარეშე პირთა მონაწილეობით; ასევე, მაქსიმალურად შეიზღუდოს დაწესებულებაში (გარდა საუნივერსიტეტო კლინიკებისა) გარეშე პირთა დაშვება და გადაადგილება.

7. წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირებს უნარჩუნდებათ შრომის ანაზღაურება.

8. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე-რექტორს ი. კოხრეიძეს.

9. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს (გ. ჭიჭინაძე) წინამდებარე ბრძანება განათავსოს თსსუ-ის ვებ-გვერდზე;

10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

11. ბრძანება დაეგზავნოს: კანცლერს, ვიცე-რექტორებს, რექტორის აპარატის უფროსს, კანცლერის მოადგილეებს, ყველა სტრუქტურულ ერთეულს.

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია
რექტორი